

ოჰ, საყვარელო

ოჰ, საყვარელო, შენგან ხელსა აწ მაქვს ზრუნვანი,
რომელ მღერითა განგიცხადო ჩემნი ჭმუნვანი!
მოვჰსთქვა თუ უძლო გულს მბუდარნი შენნი სურვანი,
მასთანა დავრთო შენამთხვევნი სოფლის მდურვანი,
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამაღ ურვანი!

ლულვილთა თვალთა განახვემდა დანახვა შენი.
მისგამო მაქვნდა სიხარული აღმონაცენი:
გულსა მომთენდა სხივ მრავალსა დღის განმათენი,
სულს მიახლებდა სახე შენი ტრფობის მაჩვენი,
აწ უბედურსა დამშთომიეს ხილვის წყურვანი.
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამაღ ურვანი!

ჭმუნვამან მძლივა, განმილივა ყოვლნი ღონენი:
მიმატნა ჭირნი გულის მძლევენი ძნელ საგონენი,
მიხშირნა ცრემლნი დ მოყვის მსხვერპლნი ღაწვთა მფონენი,

სევდანი ჰვლობენ გულსა ჩემსა თავ მომწონენი,
ძლეულსა გულსა აქვნდა ეშყის აღში მურვანი, დ
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამაღ ურვანი!

გშვენოდეს ტანსა ირისებრივ მოკაზმულობა,
ღაწვ-ბაგე ვარდთა დაუთრგუნავთ ჭნობა-ზრულობა.
შენსა მჭვრეტელსა გლახ მეხშირვის გულ მოწყლულობა,
მიკვირს თმათ სიგრძე, სიბნელე და ლამაზ წნულობა;
თვალთა მიბნელებს მაგა სახის ჩადრით ბურვანი,
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამაღ ურვანი!

აღვასა წვრილსა ორ შტოვანსა გული ემონვის,
ექადის ხვევნად, უბის ვარსკვლავთ შორით ეკონვის,
საროსა ნაზსა სათაყვანოდ არ დაეყოვნის,
დენითა აფრქევს, ცრემლთ სიმრავლით ზღვას შეეწონვის.
რეტ ქმნილსა თავსა შრომის გამო აქვს ოფლთ წურვანი.
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამაღ ურვანი!